ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 29 აპრილი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 30 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და უსურვა გამარჯვება უკრაინელ ხალხს ამ უსამართო ბრძოლაში.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30

მაისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო დაწესებულებისთვის დაწესებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

7. მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის გაცნობა.

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი განმარტებით ბარათთან ერთად „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა თუ რატომ ხდებოდა კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინების გადახურვა და რამდენად მიზანშეწონილი იყო ეს?

გ. ჩაბალუხა - მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - გამომსვლელის განცხადებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, ორსართულიანი თუ მაღალსართულიანი კორპუსები, რომლებიც საჭიროებენ გადახურვას, მუნიციპალიტეტის მიერ იქნება გადახურული, მოსახლეობის ინტრესებიდან გამომდინარე.

გ. ქაჯაია - დაეთანხმა გამომსვლელს და აღნიშნა, რომ მრავალბინიანი კორპუსების გადახურვა ყოველთვის მუნიციპალიტეტის პრეროგატივა უნდა იყოს.

დებატების დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების

შესახებ დადგენილების პროექტით, 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 784.0 ათასი ლარით (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) და განისაზღვრა - 19189.5 ათასი ლარით. გადასახდელები გაიზარდა 1170.5 ათასი ლარით და განისაზღვრა 20374.7 ათასი ლარის ოდენობით. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან 386.5 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართა შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: 13,2 ათასი ლარი პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება". 373,3 ათასი ლარი პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" აქედან: 82,3 ათასი ლარი - ხობის მუნიციპალიტეტში, ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების ასიგნება; 97,0 ათასი ლარი - ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში ც. დადიანის ქუჩა N212 ბ11 მდებარე 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოების ასიგნება; 75,0 ათასი ლარი - ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში ზვიად გამსახურდიას ქუჩა N23-ში მდებარე 2 სართულიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოების ასიგნება; 119,0 ათასი ლარი - ხობის მუნიციპალიტეტში, ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ღელე შხერულაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ასიგნება. გამომსვლელის განცხადებით, კომისიამ განიხილა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: მ. ჩარტია, მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N5 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N3 დადგენილების მიმართ განხორციელდა სამართლებრივი ექსპერტიზა. იურიდიული დეპარტამენტის რეკომენდაციის საფუძველზე მიზანშეწონილია დადგენილების პრეამბულას დაემატოს „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტი, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვალდებულებას, დაადგინოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით. რეკომენდაციის საფუძველზეც კომისიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N6 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობა დებულების თანახმად განსაზღვრულია 7 წევრით. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის გაფართოების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალა გაიზარდოს საბჭოს შემადგენლობა და დებულებაში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის თანახმადაც საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არაუმეტეს 21 წევრის შემადგენლობით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N7 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო დაწესებულებისთვის დაწესებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო დაწესებულებისთვის დაწესებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ი. ჯიშკარიანი - გამომსვლელი დაინტერესდა თუ რატომ სჭირდებოდა საკრებულოს აპარატს ხელშეკრულებით მოხელის აყვანა?

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს აპარატში შტატგარეშე მოსამსახურის აყვანა საჭირო გახდა, საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ მოხსენებითი ბარათის წარმოდგენის შემდგომ, რომლის შინაარსაც თვითონ აპარატის უფროსი (ლელა შამათავა) გააცნობდა და სთხოვა მას საკრებულოს წევრებისთვის განემარტა თუ რა საჭიროებიდან გამომდინარე ითხოვდა შტატგარეშე მოსამსახურის ხელშეკრულებით აყვანას.

ლ. შამათავა - გამომსვლელმა განმარტა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არ არის გათვალისწინებული არქივის სპეციალისტის პოზიცია. ამ ეტაპზე საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში უზრუნველყოფს საარქივო საქმიანობას. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დაწესებულება ვალდებულია დოკუმენტაციის, ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოსთვის გადაცემამდე, უზრუნველყოფს საქმიანობის პროცესში შექმნილი ყველა დოკუმენტის დაცვა, შენახვა, დამუშავება, აღრიცხვა და მოწესრიგებულ მდგომარეობაში გადაცემა მუდმივ შესანახად. საკრებულოში დაცული დოკუმენტაცია 2015 წლამდე, სრულად მომზადებულია არქივისთვის, რაც საკმაოდ შრომატევად საქმიანობას გულისხმობს. საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" თანახმად, დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილია საჯარო სამსახურში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე

დაასაქმოს მოხელე დამხმარე ამოცანების შესასრულებლად. ხოლო დამხმარე ამოცანებია ისეთი ამოცანები, რომლებიც არ წარმოადგენენ საჯარო დაწესებულების ძირითად ფუნქციებს. რადგან ძირითადი ფუნქციები ხორციელდება პროფესიული საჯარო მოხელეების მიერ, ხოლო პროფესიული მოხელის საქმიანობის მხარდამჭერი უფლებამოსილების მქონე საჯარო მოსამსახურეები შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებენ დამხმარე ფუნქციებს. გამომდინარე აქედან მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომელიც იქნა წარმოდგენილი სხდომაზე, რომელიც იმედია მხარდაჭერილი იქნება საკრებულოს წევრების მიერ.

თ. ქირია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკრებულოს წევრების ხარჯების 100 ლარით გაზრდაზე უარი მივიღეთ ხელისუფლებისგან, თანხის არქონის გამო. წინააღმდეგი არ არის აპარატს დაემატოს არქივარიუსი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა სასურველი იქნებოდა საკრებულოს წევრების ხარჯებისთვისაც მოძიებულიყო თანხა ბიუჯეტში.

მ. იოსავა - გამომსვლელმაც განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოხელის დასაქმებას. მისი განმარტებით, პირიქით რეორგანიზაცია უნდა განხორციელდეს რადგან ზედმეტად გაზრდილია შტატები.

ი. ჯიშკარიანი, თ. ქირია - გამომსვლელებმა, განაცხადეს, რომ ამ ეტაპისთვის არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა მოხელის აყვანა, უბრალოდ ეს იყო, ვიღაცისთვის წინასწარ გათვლილი ადგილი.

დებატების დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და განაცხადა, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი სამტატო რიცხოვნობის 5%-ს", ხოლო საქართველოს კანონის „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისი დაიშვება საკრებულოს თანხმობით. გამომდინარე, იქედან, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხით გათვალისწინებულია 11 სამტატო ერთეული, აუცილებელია საკრებულოს

თანხმობა, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოხელის დასაქმების მიზნით. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საჯარო დაწესებულებისთვის დაწესებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 8 (ი. ჯიშკარიანი, თ. ქირია, ლ. ლაშხია, ვ. ფოცხორაია, ლ. ადანაია, მ. იოსავა, მ. ხუხია, ზ. შამათავა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: გ. ქარდავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N10 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა დაქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

3. **ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით, მერიას წერილობით მიმართა საზოგადოება „ხობელის" დირექტორმა, რომელიც საზოგადოება ხობელის მხრიდან საქმიანობის განხორციელებისა და ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ფართით უზრუნველსაყოფად, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N185-ში, ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულზე მდებარე 43,8 კვ.მ ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემას ითხოვს. მერიის მხრიდან შესწავლილ იქნა, ზემო აღნიშნული მოთხოვნა და გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოება „ხობელის" საქმიანობა წარმოადგენს არაკომერციულ საქმიანობას, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, აღნიშნული ფართის ორი წლის ვადით საზოგადოება „ხობელზე" გადაცემა, რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ქარდავა, მ. ხუხია, ლ. ალანია, ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N11 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, პირველი მაისისა და ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება, არის დაუტვირთავი, რომელზედაც მომზადდა აუდიტორული შეფასებები. მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ზემო აღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე დაუტვირთავი ფართები აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაიცეს, რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: გ. ქარდავა, მ. ხუხია, ი. ჯიშკარიანი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N12 ოქმს თან ერთვის)

7. მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის გაცნობა

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტისა და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია წერილი, რომლითაც წარმოდგენილ იქნა 2019-2020 წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი და მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, საკრებულოს წევრებისთვის გასაცნობად, აუდიტის მიერ გაცემულია შემდეგი სახის რეკომენდაციები. მუნიციპალიტეტის მერიებმა უზრუნველყონ კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების ეტაპზე, ამასთანავე ხელშეკრულების ვადების განსაზღვრისას თვითმმართველობებმა გაითვალისწინონ კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად საჭირო პერიოდი, ხოლო ხელშეკრულებით დაწესებული საჯარიმო სანქციები უნდა იყოს უხარისხოდ შესრულებული საპროექტო დოკუმენტაციის შედეგად მიყენებული ზიანის ადეკვატური. მუნიციპალიტეტებმა ასევე შეისწავლონ უხარისხოდ შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და მათ მიმართაც გამოყენებულ იქნეს შესაბამისი ზომები. მუნიციპალიტეტის შესაბამისმა სამსახურებმა აწარმოონ პერიოდული შემოვლები სამშენებლო ობიექტებზე და მოამზადონ დოკუმენტები იმის შესახებ, რამდენად უზრუნველყოფენ ზედამხედველობის განმახორციელებელი კომპანიები სამშენებლო სამუშაოების ყოველდღიურ კონტროლს და გაატარონ კანონით განსაზღვრული სათანადო ღონისძიებები იმ ზედამხედველი კომპანიების მიმართ, რომლებიც არ ასრულებენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. მერიებმა შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ცვლილება არ განახორციელონ დაუსაბუთებლი გარემოებებით და გაითვალისწინონ მხოლოდ ობიექტური, ფორსმაჟორული საფუძვლები სხვა დანარჩენ შემთხვევაში გაავრცელონ ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს გააუმჯობესონ ინფრასტრუქტურის მართვის სისტემა და მაქსიმალურად ეფექტიანად მიაღწიონ დასახულ მიზნებს.

დაადგინეს: წარმოდგენილი აუდიტის ანგარიში ცნობად იქნეს მიღებული და კომისიის თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე წარმოდგენილი სახელმწიფო აუდიტის ანგარიში გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას სახელმძღვანელოდ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ სიტყვა ითხოვა საკრებულოს წევრმა ნუგზარ შუშანიამ.

ნ. შუშანია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკრებულოს წინა სხდომაზე დასვა საკითხი, ქალაქის ცენტრში ახალაშენებულ მაღალსართულიანი კორპუსის მიმდებარედ, გადახრილ მდგომარეობაში მყოფ ამწეკრანთან დაკავშირებით და მერიის შესაბამისი სამსახურიდან მიიღო პირობა მისი საწყის მდგომარეობაში დაბრუნების ან გაყვანის თაობაზე, მაგრამ პირობა პირობად დარჩა, დრემდე იმავე მდგომარეობაშია დატოვებული ამწეკრანი და არც აპირებენ მის გაყვანას, რაც აფრთხის შემცველია მოსახლეობისთვის. რაც შეეხებოდა დანგრეული შენობის (ძველი აფთიაქი) დემონტაჟს, მისი დემონტაჟი უკვე მიმდინარეობდა და მიესალმება ამ ფაქტს. ასევე ისაუბრა პარკთან მძიმეწონიანი მანქანების ავტოსადგომად გადაქცევის თაობაზე და აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო თუ არა პარკის მიმდებარედ განეთავსებინათ საგზაო ნიშანი, მძიმეწონიანი მანქანების გაჩერების აკრძალვის თაობაზე.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ეს მათ კომპეტენციას ცდებოდა და ეს საგზაო დეპარტამენტის პრეროგატივა იყო, თუმცა მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაძლებელი იყო, შესაბამისი წერილით მიემართათ საგზაო დეპარტამენტისთვის.

თ. ქირია - გამომსვლელმა ისაუბრა ქალაქში უპატრონო ძაღლების მომრავლებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მართალია ბევრჯერ იყო საუბარი საკრებულოში აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, ქალაქში მაწანწალა ძაღლების მხრიდან მოსახლეობის დაკბენის რიცხვმა იმატა. გამომდინარე აქედან, არსებულ პრობლემას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და დროულად იქნეს მოგვარებული.

ლ. ქავთარაძე - დაეთანხმა წინა გამომსვლელს, ქალაქში მაწანწალა ძაღლების მხრიდან მოქალაქეების დაკბენების ფაქტების არსებობის თაობაზე, თუმცა აღნიშნა, რომ რეგულაციებიდან გამომდინარე ვერაფერს აკეთებენ გარდა კასტრაციისა, რათა მათი გამრავლება არ მოხდეს, რომელსაც შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ლევანი ლიპარტია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ბექა მამაცაშვილი
8. აკაკი მალანია
9. ია ჯიშკარიანი
10. მალხაზი იოსავა
11. ბადრი რიჟამაძე
12. მზია ლემონჯარია
13. გიორგი გვსალია
14. ზურაბი შამათავა
15. ნუგზარ შუშანია
16. ფრიდონი კუკავა
17. ლევანი ლაშხია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. აკაკი ხურცილავა
21. სერგო ბერაია
22. ლელა ადანაია
23. ბექა ხარბედია
24. ვეფხვია ფოცხორაია
25. გურიელ ქარდავა
26. მოგელი ხუხია
27. თამარი ქირია
28. მაკა ცარტია
29. დიტო ხასია
30. ფრიდონ შონია